საქართველოს მთავრობის

დადგენილება №326

2025 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/06/2017, 300160070.10.003.020003) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვის“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5. ნარჩენების მართვის გეგმა**

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, შეიმუშაოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს ნარჩენების მართვის გეგმა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**